ჩინეთის როლი დარფურის კრიზისში

ნინო ფარსადანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ფარსადანიშვილი

25.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემაა დარფურის კრიზისი და ჩინეთის როლი სუდანის ამ რეგიონში მიმდინარეკონფლიქტში. მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, ნაშრომში განხილული პრობლემატიკა კვლავაც აქტუალურია და საინტერესოა პოლიტიკის მეცნიერებათა მკვლევართათვის.

კვლევის მიზანი იყო იმ წინაპირობებისა და მიზეზების დადგენა, რამაც დარფურში მიმდინარე კონფლიქტი ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. წინამდებარე ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენდა კრიზისის განვითარების ეტაპების გამოკვლევა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის დადგენა. თუმცა, უფრო კონკრეტულად, ნაშრომის მიზანი იყო იმ მიზეზებისდადგენა, რის გამოც ჩინეთი განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართულიკრიზისის მსვლელობაში.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევაში ძირითადად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი case study, რაც გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის შესწავლას. ასევე ნაშრომი იყენებს მეორადი წყაროების ანალიზის საფუძველზე მოპოვებულ რაოდენობრივ, სტატისტიკურ მონაცემებს.

კვლევის შედეგად დადგინდა ჩინეთის დარფურის კონფლიქტში ჩართულობასა და ჩინეთის ინტერესებს შორის კავშირი, რითაც დასაბუთდა ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომ ჩინეთის ინტერესი რეგიონში არსებული კონფლიქტის მიმართ განპირობებული იყო ჩინეთ-სუდანის სავაჭრო ურთიერთობებით, კერძოდ ნავთობის ექსპორტითა და მისი გეოპოლიტიკური მოტივებით.

საკვანძო სიტყვები: დარფური, ეთნიკური კონფლიქტი, ჩინეთის როლი, ვაჭრობა, ნავთობი, გეოპოლიტიკა.

Abstract

The present work is dealingwith the Darfur Crisis in Sudan, and China's role in the conflict. The novelty of the thesis is that there are almost no related studies available in Georgian language, while, on the other hand, problems discussed in the work are still relevant and interesting for political analysts.

The purpose of the study was to determine prerequisites and reasons that led to the escalation of the Darfur's conflict into a large-scale civil war. The purpose of the present work was to study the evolution of the crisis, to determine role of international organizations and community, and, more specifically, to identify the causes and motives behind China'sinvolvement in the crisis.

As for the research methodology, the study applies the qualitative approach, namely the case study method, dealing with one particular case. Quantitative data were also used derived from secondary sources.

The research, as anticipated in its hypothesis, confirmed relationship between involvement of China in the conflict and it's interest, expressed in trade objectives (oil exports) and geopolitical motivations.

Keywords: Darfur, ethnic conflict, the role of China, trade, geopolitics.

მადლობა

პირველ რიგში მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ბატონ დავით აფრასიძეს. იგი თავისი რჩევებითა და მოსაზრებებით მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და მის სწორად წარმართვაში.

ასევე მსურს მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახადა მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნადი სამეცნიერო ბაზები, რამაც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე დიდი დახმარება გამიწია.